



6.05.2020

მოგესალმებით,

ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის მორიგ ანგარიშს წარმოგიდგენთ, რომელშიც ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებები დეტალურადაა აღწერილი. ასევე მოცემულია ინფლაციისა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზები.

COVID-19-ის გლობალურმა პანდემიამ რადიკალურად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები და, რასაკვირველია, ამან თავისი გავლენა საქართველოზეც მოახდინა.

2020 წლის დასაწყისიდან ინფლაციამ, როგორც მოსალოდნელი იყო, კლება დაიწყო. წლიურმა ინფლაციამ იანვარსა და თებერვალში 6.4% შეადგინა. თუმცა, შემდგომ, COVID-19-ის გლობალურ პანდემიასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა საქართველოში ინფლაციის მაჩვენებელზეც იმოქმედა. ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით მოქმედებს ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურება, ერთი მხრივ, და ვირუსის გავრცელების შეკავების ღონისძიებების შედეგად სხვადასხვა პროდუქტისა და მომსახურების წარმოების ხარჯების ზრდა, მეორე მხრივ. შედეგად, მარტში წლიური ინფლაცია მოსალოდნელზე ნაკლებად შემცირდა, აპრილში კი 6.9 პროცენტამდე გაიზარდა. ამავე დროს, საგარეო და შიდა მოთხოვნის მოსალოდნელი მკვეთრი კლება წლის განმავლობაში ინფლაციის შემცირებას განაპირობებს. არსებული პროგნოზით, მოსალოდნელია, რომ ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელზე მაღლა უფრო ხანგრძლივად დარჩება, ვიდრე ეს ადრე იყო ნავარაუდები, თუმცა, წლის მეორე ნახევარში ინფლაცია შემცირებას დაიწყებს და მიზნობრივ მაჩვენებელს 2021 წლის დასაწყისში დაუახლოვდება.

როგორც აღვნიშნე, ინფლაციის გრძელვადიანი დინამიკის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ერთობლივი მოთხოვნა იქნება. განახლებული პროგნოზით, 2019 წელს ეკონომიკის 4%-იანი შემცირებაა მოსალოდნელი, რასაც როგორც ექსპორტისა და ტურისტული შემოსავლების კლება, ასევე შიდა მოთხოვნის შემცირება განაპირობებს.

მოსალოდნელი შემცირება უკვე გამოჩნდა ბოლო მონაცემებში. მარტში საქონლის ექსპორტი წლიურად 22 პროცენტით, ხოლო საერთაშორისო მოგზაურებიდან მიღებული შემოსავალი თითქმის 70 პროცენტით შემცირდა. 9-პროცენტიანი კლება დაფიქსირდა ფულად გზავნილებშიც. ამასთანავე, 13 პროცენტით შემცირებულია იმპორტიც, რაც შიდა მოთხოვნის შესუსტებაზე მიუთითებს.

იმის გათვალისწინებით, რომ მოსალოდნელია მოთხოვნის მნიშვნელოვანი შემცირება, აღარ არის არსებულ დონეზე გამკაცრებული პოლიტიკის შენარჩუნების საჭიროება. შესაბამისად, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა გამკაცრებული პოლიტიკიდან ეტაპობრივი გამოსვლა დაიწყო და 29 აპრილის სხდომაზე პოლიტიკის განაკვეთი 50 საბაზისო პუნქტით, 8.50 პროცენტამდე შეამცირა. შეიძლება დაისვას კითხვა, თუ რატომ ამცირებს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს მაშინ, როდესაც ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე

საგრძობლად მაღალია. ამასთან დაკავშირებით მსურს აღვნიშნო, რომ ჩვენ გადაწყვეტილებას ვიღებთ არა მიმდინარე ინფლაციაზე დაყრდნობით, არამედ ინფლაციის საშუალოვადიანი პროგნოზის გათვალისწინებით. შემცირების მიუხედავად, მონეტარული პოლიტიკა კვლავ გამკაცრებული რჩება. მნიშვნელოვანია, რომ გამკაცრებული პოლიტიკიდან გამოსვლა ეტაპობრივად განახორციელდეს, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ ინფლაციის მოლოდინები არ გაიზარდოს. ამასთან, როგორც ადრე, ვიმეორებ, რომ გრაფიკზე მოცემული პოლიტიკის განაკვეთის ტრაექტორია დაპირება არ არის, ეს არის დღევანდელი ხედვა და, ახალი ფაქტორების გამოვლენასთან ერთად, ის შესაძლოა გადაიხედოს.

ასევე შეგახსენებთ, რომ 2018 წლიდან ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში 3 პროცენტია. საშუალოვადიანი პერიოდისთვის ხაზგასმას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შოკები მუდმივად ხდება და ინფლაციაც თითქმის ყოველთვის განსხვავებული იქნება მიზნობრივი დონისგან: სხვადასხვა დროს ის შეიძლება იყოს მიზნობრივი მაჩვენებლის ზემოთ ან ქვემოთ, თუმცა, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, საშუალოვადიან პერიოდში ის ყოველთვის მიზნობრივი მაჩვენებლისაკენ იმოძრაავს. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი არ ნიშნავს ინფლაციის მაქსიმალურ დონეს ან ინფლაციის ლიმიტს. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი არის 3 პროცენტი, ჩვენ არ ვგულისხმობთ ინფლაციას ნულიდან სამ პროცენტამდე, არამედ ვგულისხმობთ ინფლაციას 3 პროცენტთან ახლოს - ზოგჯერ მის ზემოთ და ზოგჯერ მის ქვემოთ, საშუალოვადიან პერიოდში. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმში ფასების სტაბილურობა ყველაზე ნაკლები საზოგადოებრივი დანახარჯებით მიიღწევა, ხოლო გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა, სხვა ალტერნატიულ რეჟიმებთან შედარებით, ყველაზე მაღალი და მდგრადია.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს და პროგნოზებსა და შეფასებებს მონეტარული პოლიტიკის განახლებული ანგარიშით წარუდგენს დაინტერესებულ საზოგადოებას.

ჯანმრთელობას გისურვებთ! გმადლობთ ყურადღებისათვის!